

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #078/11
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ქრისტინე მაისურაძე

ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2010 წლის შემოდგომაზე დაიდო იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ადვოკატი ახორციელებდა საჩივრის ავტორის შვილის დაცვას ყველა ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, წინასწარი გამოძიებისას დაიკითხა მოწმე, რომელიც დანაშაულის ჩადენაში მომჩივნის შვილს ადებდა ხელს და მისი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა წინასწარი გამოძიებისას. მოწმე ბრალდებულის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის იყო ბრალდებული. აღნიშნული მოწმის ინტერესების დამცველი იყო სწორედ ის ადვოკატი, რომელიც საჩივრის ავტორის შვილს იცავდა. ადვოკატი მოწმის ინტერესების დაცვასთან ერთად აგრძელებდა საჩივრის ავტორის შვილის დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში. აღნიშნული ფაქტი კი საჩივრის ავტორისათვის ცნობილი არ იყო. ადვოკატმა მოწმე არ დაკითხა და მოხსნა მოწმის სტატუსიდან, რის თაობაზეც ინფორმაცია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გახდა ცნობილი საჩივრის ავტორისათვის.

ადვოკატი მოწმის ინტერესების დაცვას ახორციელებდა სავალდებულო წესით, რომლის დანიშვნის თაობაზე პროკურატურამ მიმართა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი, რომელშიც ითხოვდა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინარული დევნა ადვოკატის მიმართ ინტერესთა შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს. ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტის ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება. ინტერესთა კონფლიქტზე მსჯელობისას გაითვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ დროისათვის მოქმედი რედაქცია, რომლის მიხედვითაც, „დამცველი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ იგი იურიდიულ დახმარებას უწევს პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომლის წარმომადგენელიც ის არის. „მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა დაარღვია ენტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის საქმეზე განახორციელა მთავარი მოწმის ინტერესების დაცვა და მონაწილეობა მიიღო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე გამართულ სასამართლო პროცესში, რადგან ადვოკატი ახორციელებდა ორი კლიენტის დაცვას ერთდროულად, რომელთა ინტერესებიც ერთმანეთის საწინააღმდეგო გახლდათ.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ობიექტურად ვერ შეძლებდა ორივე კლიენტის მიმართ დაცვის კეთილსინდისიერად განხორციელებას და გამომდინარე აქედა უნდა დაეტოვებინა,

როგორც ბრალდებულის, ისე მოწმის ინტერესების დაცვა, რადგან ერთი მხარისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია მეორის სასარგებლოდ (ან საწინააღმდეგოდ) არ გამოეყენებინა.

ეთიკის კომისიამ საქმის გამოკვლევისას დაადგინა ასევე, რომ ადვოკატს არ გააჩნდა უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას დაეცვა მოწმის ინტერესები, რადგან სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი არც იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დანიშნული დამცვლი არ გახლდათ და არც მოწმის ოჯახის წევრების მიერ დანიშნულ ადვოკატს წარაუდგენდა.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ სავალდებულო დაცვის პირობებში ადვოკატს გააჩნდა ვალდებულებები კეთილსინდისიერად დაეცვა მოწმის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე, რაც არ განხორციელდა. სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის მიზანს, არა მოწმის ინტერესების სათანადო წარმოდგენა გახლდათ, არამედ მან ფორმალურად მიიღო მონაწილეობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაბაზე გამართულ სასამართლო პროცესში. ადვოკატი არ იყო კლიენტის ერთგული და არ განიხილა მისი ინტერესები თავის ინტერესებზე და სხვა პირის ინტერესებზე მაღლა. ადვოკატმა არ გამოიყენა ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტის უფლებების სათანადო დაცვისათვის. ადვოკატი მოწმის დაცვისას მთლიანდა ორიენტირებული იყო ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეზე, რათა მოწმეს ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება არ მიეცა, რაც ადვოკატს მიცემდა შესაძლებლობას სათანადოდ დაეცვა ბრალდებულის ინტერესები და შესაძლოა მისი სასარგებლო შეეგი დამდგარიყო სისხლის სამართლის საქმეზე.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ე), 8.1 მუხლების, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1, 8.1 მუხლების დარღვევა. ადვოკატის მიმართ დისციპლინული პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება.